პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

27 ოქტომბერი შაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 252 (15769)

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი

26 ოქტომბერს, 16 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის ხალამოს სხდომა.

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის პრეზიდიუმში შემოდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისთვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი და მთავრობის ლოჟებში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ა. ნ. შელეპინი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, დ. თ. უსტინოვი, ვ. ი. დოლგიხი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, რომლებსაც კონგრესის დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით, ფეხზე ამდგარი ეგებებიან.

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ რომეშ ჩანდრამ, რომელმაც თქვა, რომ კონგრესის დელეგატთა სახელით მოსამზადებელმა კომიტეტმა სთხოვა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გამოსულიყო კონგრესზე. შეკრებილთა ტაშის გრიალში რ. ჩანდრამ გულითადი მადლობა გადაუხადა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იმისთვის, რომ თანხმობა განაცხადა გამოვიდეს კონგრესზე და სიტყვა მისცა მას.

სამართლიანი, დემოკრატიული მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესზე

26 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში მუშაობას განაგრძობდა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი. სურათზე: ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

სპეშნი (სურათი მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

ძვირფასო მეგობრებო! პატივცემულო სტუმრებო! ამხანაგებო!

გულწრფელად მახარებს, რომ შესაძლებლობა მომეცა გულითადად მოგესალმოთ თქვენ, ჩვენი პლანეტის მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით.

გუშინ ამ ტრიბუნიდან ჩვენმა მეგობარმა რომეშ ჩანდრამ და მთელი რიგი ავტორიტეტიანი საერთაშორისო ორგანიზაციების დელეგატებმა გულთბილი, კეთილი სიტყვები უძღვნეს ჩვენს ქვეყანას, მის საერთაშორისო პოლიტიკას. დიდ მადლობას მოგახსენებთ ამისათვის. გადაწყვეტილება კონგრესის მუშაობის ადგილად ჩვენი დედაქალაქის მოსკოვის არჩევის შესახებ ყველა საბჭოთა ადამიანისათვის გახდება მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და უშიშროებისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების სტიმული.

მშვიდობისათვის საზოგადოებრივი მოძრაობის ისტორიაში ცნობილია ბევრი შთამაგონებელი მაგალითი. მაგრამ მინდა შევუერთდე უკვე აქ გამოთქმულ აზრს, რომ ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისეთი მასშტაბის საერთაშორისო ფორუმი, ისეთი წარმომადგენლობითი კრება, როგორიც მშვიდობისმოყვარე ძალების ეს მსოფლიო კონგრესია.

ამ დარბაზში შეიკრიბნენ სოციალისტური ქვეყნებიდან, ბურჟუაზიული სახელმწიფოებიდან, განვითარებადი ქვეყნებიდან ჩამოსული მშვიდობისათვის მებრძოლთა დელეგაციები.

ამ დარბაზში ვხედავთ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლებს: ჩვენს თანამოძმეებს ქვეყნად უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში, კომუნისტებს, სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეებს, რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წარმომადგენლებს. აქ გვესწრებიან ბურჟუაზიული, პოლიტიკური პარტიების მოღვაწეები. გვესწრებიან უპარტიონიც, რომლებიც დიდად დაინტერესებული არიან თავიანთი ხალხების მომავლით. აქ ერთად შეიკრიბნენ ათეისტები და მორწმუნენი.

ამ დარბაზში დამსწრეთა შორის ვხედავთ მუშებს, გლეხებს, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მთელი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ესე იგი ადამიანებს, რომელთა ხელით, რომელთა გონებით, რომელთა შემოქმედებითი შთაგონებით იქმნება მთელი მატერიალური და სულიერი ღირებულებანი ჩვენს პლანეტაზე. ოდითგანვე მშვიდობა და შრომა დაკავშირებულია ერთმანეთთან. ომები წარმოშობდნენ ექსპლოატაციასა და ჩაგვრას, მშვიდობის წყარო კი საბოლოო ანგარიშით მუდამ იყო მშრომელი ადამიანი. ჩარხთან თუ სადნობ ღუმელთან, ტრაქტორის საჭესთან, სამშენებლო ხარაჩოებზე, უნივერსიტეტის კათედრაზე თუ სამეცნიერო-კვლევითს ლაბორატორიაში ამ ადამიანს უწინარეს ყოვლისა სჭირდება მშვიდობა.

კონგრესში მონაწილეობენ კაპიტალისტური ქვეყნების სამეფანი სამყაროს, მისი ამ წრეების წარმომადგენლნიც, რომლებიც მხარს უჭერენ პლანეტის ყველა ქვეყნის ურთიერთსასარგებლო ეკონომიურ თანამშრომლობას. და ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რაოდენ ფართოა ბაზა, რომელსაც ემყარება მშვიდობისმოყვარე ძალების კეთილშობილური მოძრაობა.

მინდა საგანგებოდ აღვნიშნო ჩვენი თვალსაზრისით ისეთი ახალი და სასიხარულო მოვლენა, როგორიც არის მშვიდობისმოყვარე ძალების კონგრესში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აგრეთვე მისი კომიტეტებისა და სპეციალიზებული დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობა. ეს ფაქტი კანონზომიერად მიგვაჩნია, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი მიზნები და ამოცანები, რომლებიც დადასტურებულია მის წესდებაში, ემთხვევა ამ კონგრესის მიზნებსა და მისწრაფებებს: ყოველნაირად შეუწყოს ხელი ქვეყნად მშვიდობის საქმესა და სახელმწიფოთა და ხალხთა ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ძვირფასო მეგობრებო!

მრავალი საუკუნის მანძილზე ადამიანები — ყოველ შემთხვევაში მათგან უბრძენესნი — დაუცხრომლად გმობდნენ და წყევლიდნენ ომს. ხალხები მტკიცე მშვიდობაზე ოცნებობდნენ, და მაინც, ომების, დიდი თუ პატარა ომების, ავბედითი ნახანძრალის კვალი ატყვია კაცობრიობის ისტორიის თითქმის ყოველ ფურცელს.

ვერც ისტორიის გაკვეთილები, ვერც თითქოსდა ადამიანისათვის ჩვეული სიძულვილი ერთმანეთის მოსპობისადმი ვერ აღკვეთდა ხოლმე მორიგ ხოცვა-ყლეტას, რადგან მეტისმეტად ძლიერი იყვნენ ომის ძალები, მეტისმეტად დიდ როლს ასრულებდნენ ისინი, ვისაც ომი ხელს აძლევდა.

მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენს ეპოქაში. დღეს ომის წინააღმდეგ ბრძოლას აქვს საიმედო საფუძველი — მშვიდობის ძალების, დემოკრატიის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ძალების ძლიერება.

პატივცემულო კონგრესის მონაწილენო! ნება მიბოძეთ 250-მილიონიანი საბჭოთა ხალხის სახელით, მისი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სახელით აღგითქვათ, რომ მშვიდობის განმტკიცებისათვის ზრუნვა ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

„მშვიდობა — ხალხებს!“ — აი ერთი იმ ძირითად ლოზუნგთაგანი, რომელებითაც ორმოცდათექვსმეტი წლის წინ, გაჩაღებული პირველი მსოფლიო ომის დროს, განახორციელეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა ოქტომბრის რევოლუცია. და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს პირველი საკანონმდებლო აქტი იყო ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი დეკრეტი ზავის შესახებ.

საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ ამ ისტორიული დოკუმენტით მიმართა არა მარტო ყველა ქვეყნის მთავრობებს, არამედ ამ ქვეყნების ხალხებსაც და გამოთქვა ჩვენი სახელმწიფოს ურყევი მისწრაფება სამართლიანი დემოკრატიული მშვიდობისადმი. მე ხაზს ვუსვამ — სამართლიანი მშვიდობისადმი, დემოკრატიული მშვიდობისადმი, ანუ ისეთი მშვიდობისადმი, რომელიც დაფუძნებულია ყველა ხალხთა უფლებებისა და ინტერესების პატივისცემაზე. და დიდი ოქტომბრის შემდგომ განვლილი მთელი წლების მანძილზე ჩვენ განუხრელად, თანმიმდევრულად ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენს პლანეტაზე სწორედ ასეთი მშვიდობის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა 20 მილიონზე მეტი თავისი მოქალაქის სიცოცხლედ დაუჯდა, კარგად იცის, თუ რა არის ომი და რა აურაცხელი უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის. დიდი სამამულო ომი ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, მხოლოდ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა როდი იყო. ამასთანავე ეს იყო ბრძოლა მსოფლიო ცივილიზაციის გადარჩენისათვის, მომავალი სამართლიანი მშვიდობისათვის. მთელი ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე საბჭოთა ქვეყანა დაუცხრომლად იბრძოდა ხალხთა მტკიცე მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის გამოხატულება იყო პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა. როცა ამ პროგრამას ვაყენებდით, ამოცანად ის მიგვაჩნდა, რომ ხელი შეგვეწყო დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის, დავხმარებოდით კაცობრიობას თავიდან აეცილებინა თერმოატომური კატასტროფის ჩამოწოლილი აჩრდილი, ყოველნაირად შეგვეწყო ხელი დაძაბულობის შენელებისათვის. და ამ კეთილშობილური მიზნებისათვის, მთელი მშრომელი კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ვმუშაობთ და კვლავაც ვიმუშავებთ ძალღონის დაუზოგავად!

I.

ძვირფასო მეგობრებო! თქვენი კონგრესი შეიკრიბა მეტად ღირსშესანიშნავ, პასუხსაგებ ისტორიულ მომენტში.

ხალხთა ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა ახალი მსოფლიო ომის წარმოქმნის წინააღმდეგ, მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ამ ბოლო წლებში სერიოზული წარმატებებით აღინიშნა.

თუ ვილაპარაკებთ მთავარზე, უნდა ითქვას, რომ მსოფლიო რაკეტულ-ატომური ომის წარმოქმნის საფრთხე, რომელიც კაცობრიობას ჯერ კიდევ ორმოციანი წლების მეორე ნახევრიდან ემუქრება, კლებულობს, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების პერსპექტივები უკეთესი და უფრო საიმედო ხდება, ვიდრე ათი-თორმეტი წლის წინათ იყო. ეს მთელი გულდაჯერებით შეიძლება ითქვას.

სულ უფრო ფართო აღიარებას პოულობს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. ამ პრინციპებს სულ უფრო კონკრეტული შინაარსი ენიჭება, თანდათანობით იქცევა საერთაშორისო ცხოვრების საყოველთაოდ მიღებულ ნორმად.

ღირსშესანიშნავი ძვრები მოხდა, კერძოდ, ამ ბოლო წლების მანძილზე სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან—საფრანგეთთან, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაადგა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა კონსტრუქციულ თანამშრომლობის გზას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან, იტალიასთან და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებთან. საერთაშორისო ურთიერთობის მთელ სისტემაში უკეთესისაკენ შემობრუნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულებანი. კონგრესის მონაწილეებმა კარგად იცით, რომ ეს ხელშეკრულებანი ითვალისწინებენ არსებული საზღვრების ურყევობის ცნობას, შეიცავენ მხარეთა ვალდებულებებს, რომ უარს იტყვიან ძალის გამოყენებაზე საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის დროს.

ყოველივე ამან, უეჭველია, უკეთესობისაკენ შეცვალა ვითარება ევროპაში — კონტინენტზე, სადაც დაიწყო ორივე მსოფლიო ომი. აქ მომხდარი პოზიტიური ცვლილებების კონცენტრირებული გამოხატულება გახდა სრულიად ევროპის თათბირი. ამ თათბირის მოწვევის თვით ფაქტი, რომლისთვისაც ასე დიდხანს იბრძოდნენ კონტინენტის მოწინავე ძალები, თათბირში პრაქტიკულად ევროპის ყველა სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის მონაწილეობა, ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხების ერთობლივი განხილვა და მშვიდობიანი თანამშრომლობის მოგვარება — ეს თავისთავად დიდი მონაპოვარია.

ცნობილია, რომ უკანასკნელ ორ წელიწადს მოჰყვა პოზიტიური ცვლილებები საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში. 1972 წლის მაისში მოსკოვში და მიმდინარე წლის ივნისში ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჩვენი შეხვედრების დროს დადებულმა შეთანხმებებმა გზა გაუკვალეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში კონფრონტაციიდან დაძაბულობის შენელებაზე, ნორმალიზაციასა და ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაზე გადასვლას. ეს, ჩვენი ღრმა რწმენით, შეესაბამება როგორც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების, ისე ყველა სხვა ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, რადგან ემსახურება საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმეს.

ამ ბოლო წლების მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა საერთაშორისო უშიშროების თვალსაზრისით ისეთ დიდმნიშვნელოვან რაიონებში, როგორიც არის სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია და შორეული აღმოსავლეთი. მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა გახდა ომის შეწყვეტა ვიეტნამში. ეს უწინარეს ყოვლისა გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვებაა. ეს არის აგრეთვე გამარჯვება სოციალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც განუხრელად უწევდნენ ქმედითს დახმარებას ვიეტნამს სამართლიან ბრძოლაში. ამასთანავე, ეს არის გამარჯვება მსოფლიოს მთელი ძალებისა, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ ინდოჩინეთში იმპერიალისტური აგრესიის შეწყვეტისათვის. მშვიდობისათვის შებრძოლი საზოგადოებრივი წრეები გულწრფელად მიესალმებიან სამხრეთ აზიაში ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგებას, —მხედველობაში მაქვს ურთიერთობა ისეთ სახელმწიფოთა შორის, როგორიც არიან ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში. ბევრ დარგში ვითარდება საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების კარგი ურთიერთობა იაპონიასთან. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა იაპონიის პრემიერ-მინისტრის ამასწინანდელი ვიზიტი მოსკოვში.

მთელი რიგი სამხედრო კერების ლიკვიდაცია, გამალებული შეიარაღების შეზღუდვების პირველი ნაბიჯები, დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო-სამართლებრივი ფაქტების სერია და მუდმივი პოლიტიკური კონსულტაციები სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებს შორის — ყოველივე ეს საერთაშორისო ცხოვრებაში ღრმა ცვლილებების სავსებით ხილული ნიშნებია. ამასვე მოწმობს აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული თანამშრომლობის სულ უფრო ფართო მასშტაბი. ერთი სიტყვით, წარმატებები საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში აშკარაა, და ხალხები მხურვალედ მიესალმებიან ამას.

თავისთავად ცხადია, ჩვენ რეალისტები ვართ, და არ შეიძლება არ ვხედავდეთ სხვა ხასიათის ფაქტებსაც. ყველამ კარგად ვიცით, რომ ომებსა და მწვავე საერთაშორისო კრიზისებს სრულიადაც არ მოღებია ბოლო. ჯერ კიდევ ხდება ქვეყნად აგრესიის აქტები, ყველა ხალხს როდი შეუძლია უშიშრად გრძნობდეს თავს. და ჩვენ სავსებით ვიზიარებთ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლების შეშფოთებას, რომელიც აქ გამოთქვეს ამასთან დაკავშირებით.

მაგრამ აგრესიისა და ხალხების მიმართ ძალადობის აქტები წინათ არასოდეს არ იწვევდნენ ისეთ საყოველთაო აღშფოთებას, პროტესტსა და აქტიურ წინააღმდეგობას, როგორც ეს ჩვენს დროში ხდება. არასოდეს წინათ არ ამოძრავებულან ასეთ შემთხვევებში ესოდენ მძლავრი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ძალები აგრესორის შეჩერების, დაწყებული ომის კერის ჩაქრობის, მშვიდობის საფუძვლების განმტკიცების მიზნით. და ეს უკვე დიდი მიღწევაა.

ჩვენი ღრმა რწმენით, მთავარ ტენდენციას თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებაში წარმოადგენს შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ, სამხედრო კონფრონტაციიდან უშიშროების განმტკიცებისაკენ, მშვიდობიანი თანამშრომლობისაკენ.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, დასვენების დღე — 1973 წლის 11 ნოემბრის კვირიდან გადატანილია პარასკევს — 9 ნოემბერს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

რატომ გახდა შესაძლებელი ასეთი შემობრუნება?

ეჭვი არ გვეპარება, რომ აქ მთავარია ძალთა თანაფარდობის საერთო ცვლილება მსოფლიო ასპარეზზე. ცვლილება „ცივი ომის“, გამალებული შეიარაღების მომხრეთა, ყოველგვარი სამხედრო ავანტიურის მოყვარულთა საზიანოდ, ცვლილება მშვიდობისა და პროგრესის ძალების სასარგებლოდ.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის როლი ჩვენს დროში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებში, რომელსაც სოციალიზმის ძალები, სოციალისტური თანამეგობრობა ასრულებენ. ბრძოლას მშვიდობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირი აწარმოებს თავის კეთილ მეგობრებთან და თანამოაზრეებთან — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან ერთად. მთელ მსოფლიოში ცნობილია ის დიდი წვლილი, რომელიც ბულგარეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, პოლონეთს, რუმინეთს, უნგრეთს, ჩეხოსლოვაკიას შეაქვთ მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების საქმეში და, კერძოდ, ევროპის უშიშროების განმტკიცების საქმეში. მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლად გამოდის სოციალისტური იუგოსლავია.

აზიის მშვიდობისა და უშიშროების არსებითი ფაქტორია მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა. ვიეტნამის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ უდიდესი მამაცობა გამოიჩინა ამერიკის იმპერიალიზმის შეიარაღებული ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლაში და დიდი პოლიტიკური წვლილი შეიტანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის საშიში კერის ლიკვიდაციის საქმეში. მთელ მსოფლიოში ფართო პოლიტიკური გამოხმაურება ჰპოვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ინიციატივამ, რომლის მიზანია კორეის მშვიდობიანი გაერთიანება.

რევოლუციური კუბა, ლათინური ამერიკის პირველი სოციალისტური ქვეყანა, ბევრ რამეს აკეთებს საერთაშორისო ურთიერთობაში მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპების დასამკვიდრებლად.

კონგრესის ტრიბუნიდან მსურს სულითა და გულით გამოვხატო საბჭოთა კავშირის კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის პატივისცემა მოძმე სოციალისტური ქვეყნებისადმი, მათი პრინციპული და თანმიმდევრული მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკისადმი.

უკანასკნელი წლების საერთაშორისო ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანია მრავალი დიალოგი, რომლებიც იმართება სხვადასხვა სახელმწიფოთა ხელმძღვანელებს შორის. სახელმწიფო მოღვაწის ჭეშმარიტ როლსა და პოლიტიკურ ავტორიტეტს ჩვენს დროში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ესმის მას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემის მნიშვნელობა, რას აკეთებს იგი პრაქტიკულად თანამედროვეობის ამ უმთავრესი პრობლემის გადასაჭრელად.

ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ჯეროვნად არ დავაფასოთ დასავლეთის ქვეყნების ის სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც ცდილობენ დაძლიონ „ცივი ომის“ ინერცია და დაადგნენ ახალ გზას — იმ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი დიალოგის გზას, რომლებიც სხვა სოციალურ სისტემას ეკუთვნიან. ჩვენ ვხედავთ აგრეთვე დასავლეთის ქვეყნებში მიმდინარე ბრძოლას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ვხედავთ გარკვეულ არათანმიმდევრულობასაც სხვადასხვა საკითხზე ამა თუ იმ სახელმწიფოს პოზიციებში. ასე რომ, მშვიდობის განმტკიცების გზაზე შემდგომი წინსვლისათვის ჯერ კიდევ ბევრი მეცადინეობაა საჭირო. რაც შეგვეხება ჩვენ, მზად ვართ ამისათვის.

მსოფლიო ვითარებაში ახლანდელი შემობრუნების სათავეებსა და მიზეზებს ანალიზს რომ ვუკეთებთ, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის დიდი როლი, რასაც ამ პროცესში ასრულებენ სახელმწიფოები, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი და მიაღწიეს ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ომისშემდგომი განვითარების მთელმა მსვლელობამ დამაჯერებლად ცხადყო: კოლონიალიზმი და აგრესია, კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა და ძალის პოლიტიკა არსებითად ერთი და იგივე მედლის ორი მხარეა. ამიტომ დიდად გამართლებულია ის გარემოება, რომ თქვენი კონგრესის თვით სახელწოდებაში მშვიდობისათვის ბრძოლა უმჭიდროესად არის დაკავშირებული ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან.

ეს კავშირი განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა გმირი ვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისათვის მრავალი წლის ბრძოლის მაგალითით. ვფიქრობ, ყველანი ვეთანხმებით იმას, რომ სწორედ ვიეტნამელი ხალხის წარმატება აგრესიის მოგერიებაში და მის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წარმატებული დაცვა ქმნის მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის საფუძველს.

დარწმუნებული ვართ, რომ მხოლოდ ამ რაიონის ყველა ხალხის თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე საბოლოოდ შეიძლება დამკვიდრდეს მშვიდობა და უშიშროება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

და განა ცხადი არ არის, რომ არაბი ხალხების ბრძოლა ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის — ეს ამავე დროს არის ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამკვიდრებისათვის?

მსოფლიოს ამ რაიონში დაძაბულობის კერიდან უკვე მეოთხეჯერ იფეთქა ომმა. საომარმა მოქმედებამ ამ თვეში არნახულ ინტენსიურობას მიაღწია, ორივე მხარის დიდი მსხვერპლი გამოიწვია, მათ შორის სამოქალაქო მოსახლეობისა ეგვიპტის და სირიის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვის შედეგად. უკანასკნელმა ამბებმა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ უჩვენა მთელ მსოფლიოს ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის საშიში ხასიათი, მისი შეცვლის აუცილებლობა.

მოვლენათა ფაქტიური მსვლელობა, თქვენთვის, რა თქმა უნდა, კარგად არის ცნობილი. ამიტომ მე აქ შევეხები საკითხის პრინციპულ მხარეს. რა არის იმ სამხედრო კონფლიქტების ძირითადი მიზეზები, რომლებიც პერიოდულად წარმოიშობდა ხოლმე ამ რაიონში, მათ შორის ახლანდელი ომისა? პასუხი, ჩვენი აზრით, ნათელია — ეს არის ისრაელის მიერ არაბული მიწების მიტაცება მის მიერ ჩადენილი აგრესიის შედეგად, ის, რომ ტელ-ავივს ჯიუტად არა სურს ანგარიში გაუწიოს არაბი ხალხების კანონიერ უფლებებს და მას ამ აგრესიულ პოლიტიკაში მხარს უჭერენ კაპიტალისტური სამყაროს ძალები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ პროგრესული არაბული სახელმწიფოების თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას.

უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირს არაერთგზის, ხაზგასმით ვამბობ, არაერთგზის გაუცხადებია, რომ მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში უაღრესად საშიშია. ჩვენი გეზი ამ საკითხში ნათელი და თანმიმდევრულია თავიდან ბოლომდე. ვხელმძღვანელობთ რა როგორც სოციალისტური საგარეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპებით, ისე იმ ფაქტითაც, რომ ეს რაიონი ჩვენი საზღვრების უშუალო სიახლოვეს მდებარეობს, დაინტერესებული ვართ იმით, რომ ახლო აღმოსავლეთში დამყარდეს ნამდვილად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა, რომ უზრუნველყოფილ იქნას ამ რაიონის ყველა ქვეყნისა და ხალხის უშიშროება, მათი უფლება მშვიდად აშენონ თავიანთი ცხოვრება ისე, როგორც მათ სურთ. სწორედ ამიტომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ არაბული სახელმწიფოებისათვის დაებრუნებინათ ისრაელის მიერ ოკუპირებული მიწები, რომ გაემარჯვა სამართლიანობას პალესტინელი ხალხის მიმართ. საბჭოთა კავშირი ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს ასეთ პოლიტიკას.

ამ თვის დამდეგს ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების განახლების მომენტიდან საბჭოთა კავშირი, რომელსაც მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული მეგობარ არაბულ სახელმწიფოებთან, მასზე დამოკიდებულ ყველა პოლიტიკურ დონისძიებას მიმართავდა, რათა ხელი შეეწყო ომის დამთავრებისათვის და ისეთი პირობების შექმნისათვის, როცა მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში ამ რაიონის ყველა სახელმწიფოსათვის ნამდვილად მტკიცე გახდებოდა.

როგორც ცნობილია, 22 და 23 ოქტომბერს საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წინადადებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ორჯერ მიიღო გადაწყვეტილება ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ორივეჯერ ისრაელი, რომელიც სიტყვით აცხადებდა, რომ დაემორჩილებოდა საბჭოს გადაწყვეტილებას, საქმით მუხანათურად არღვევდა მას და განაგრძობდა აგრესიულ მოქმედებას ეგვიპტის წინააღმდეგ. ისრაელი, რომელიც იპყრობდა ამ ქვეყნის სულ ახალ-ახალ ტერიტორიებს, მთლიანად უგულებელყოფდა უშიშროების საბჭოს მოთხოვნას, რომ ჯარები უკან დაეწიათ იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ 22 ოქტომბრის საღამოსათვის.

ძნელი გასაგებია, თუ რის იმედი აქვთ ისრაელის მმართველთ, როცა ახორციელებენ ამ ავანტიურისტულ კურსს, უგულებელყოფენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებს, აბუჩად იგდებენ მთელ საზოგადოებრივ აზრს. როგორც ჩანს, აქ თავის როლს ასრულებს გარედან მფარველობა. მაგრამ ისრაელის მთავრობის ასეთი პოლიტიკა ძვირად უჯდება ისრაელ ხალხს. იმის ფარაუდი, რომ სახელმწიფოს მშვიდობა და უშიშროება უზრუნველყო სხვისი მიწების ძალადური მიტაცებისა და შენარჩუნების გზით — ეს უგუნური ფარაუდია, განწირულია უცილობელი მარცხისათვის. ასეთი კურსი ისრაელს ვერ მოუტანს ვერც მშვიდობას, ვერც უშიშროებას. მას მოჰყვება მხოლოდ ისრაელის კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო იზოლაცია, გამოიწვევს მეზობელი ხალხების კიდევ უფრო მეტ სიძულვილს მისდამი. არაბთა ეკეკლიანური ბრძოლა, არაბული სახელმწიფოების მზარდი სოლიდარობა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ისინი არასდროს არ შეურიგდებიან ისრაელის აგრესიას, არასდროს არ აიღებენ ხელს თავიანთ კანონიერ უფლებებზე. საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანმიმდევრულად უჭერს მხარს არაბი ხალხების სამართლიან მოთხოვნებს.

იმათმა კოლექტიურმა ნებამ, ვინც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამკვიდრებას მოითხოვს, უნდა აჯობოს მშვიდობის დამრღვევთა უგუნურებას. უკანასკნელი დღეების გამოცდილება გვასწავლის ვიყოთ ფხიზელნი, საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებანი, რათა უზრუნველვყოთ ცეცხლის შეწყვეტისა და ჯარების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილებათა საიმედო განხორციელება.

ეგვიპტის პრეზიდენტმა სადათმა სთხოვა საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს საომარი მოქმედების რაიონში გაეგზავნათ თავიანთი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, რათა თვალი ედევნებინათ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესრულებისათვის. ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ დავაკმაყოფილოთ ეგვიპტის თხოვნა და უკვე გავგზავნეთ ასეთი წარმომადგენლები. იმედი გვაქვს, რომ ამგვარადვე მოიქცევა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც. ამასთან ჩვენ ვფიქრობთ სხვა შესაძლო ღონისძიებებზეც, რომელთა მიღებაც შეიძლება ვითარებამ მოითხოვოს.

იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ცეცხლის შეწყვეტის დარღვევები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 25 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების დაუყოვნებლივ შექმნის შესახებ, რომლებიც გაიგზავნება საომარი მოქმედების რაიონში. ჩვენ მივგაჩნია, რომ ეს არის სასარგებლო გადაწყვეტილება და იმედი გვაქვს, რომ იგი შეასრულებს თავის როლს ვითარების ნორმალიზაციაში.

ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის ნორმალიზაციის საქმეში საბჭოთა კავშირი მზად არის ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან. მაგრამ ამგვარ თანამშრომლობას, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუწყობს ნატოს ქვეყნების გარკვეულ წრეებში ამ ბოლო დღეების მანძილზე განხორციელებული ისეთი მოქმედება, როგორიც არის ვნებათა ღელვის ხელოვნური გაღვივება ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის განზრახვათა შესახებ სხვადასხვა ფანტასტიკური მონაჭორების გავრცელების გზით. ასეთ სიტუაციაში, ჩვენ გვგონია, რომ უკეთესი იქნებოდა პასუხისმგებლობითი, პატიოსანი და კონსტრუქციული მიდგომა.

გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ უშიშროების საბჭოს 22 ოქტომბრის გადაწყვეტილება მარტო ომის შეწყვეტას როდი ითვალისწინებს. იგი ითვალისწინებს ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც მიზნად ისახავენ თვით ომის მიზეზების აღმოფხვრას. სწორედ ეს არის მისი განსაკუთრებული ღირსება. დაინტერესებულმა მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ ახლო აღმოსავლეთის შესახებ უშიშროების საბჭოს მიერ 1967 წლის 22 ნოემბერს მიღებული რეზოლუციის განხორციელება, მისი ყველა ნაწილის შესრულება.

მოგაგონებთ, რომ ეს რეზოლუცია ხაზს უსვამს „ომის გზით ტერიტორიის შეძენის დაუშვებლობას“. იგი ითვალისწინებს ისრაელის შეიარაღებული ძალების გაყვანას 1967 წლის კონფლიქტის დროს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. იგი მოითხოვს ამ რაიონის თვითეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის და მშვიდობიანად ცხოვრების მათი უფლების პატივისცემასა და ცნობას. რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა მიაღწიონ „ლტოლვილთა პრობლემის“ სამართლიან მოწესრიგებას, ესე იგი უზრუნველყონ პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი უფლებანი.

ძნელი არ არის დაინახოთ, 1967 წელს მიღებული ყველა ეს დებულება მაშინვე რომ განხორციელებულიყო, ახლო აღმოსავლეთში უკვე ექვსი წელია მტკიცე მშვიდობა იქნებოდა. მაგრამ ეს არ მომხდარა. არ მომხდარა ისრაელის მმართველი წრეების ისევ იმ ბეცი და ავანტიურისტული პოლიტიკის მიზეზით, წრეებისა, რომლებსაც გარეშე ძალები აქეზებენ.

ორშაბათს, 22 ოქტომბერს, უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ფორმისა და შინაარსის მიხედვით, დაინტერესებულმა მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ შესაბამისი ეგიდით მოლაპარაკება, რომელიც მიზნად ისახავს სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარებას ახლო აღმოსავლეთში. ასეთი მოლაპარაკების მნიშვნელობა შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასდეს. მის მონაწილეებს ეკისრებათ ისტორიული პასუხისმგებლობა. საბჭოთა კავშირზე შემიძლია ვთქვა, რომ ეგი მზად არის შეიტანოს და შეიტანს კიდეც კონსტრუქციულ წვლილს ამ საქმეში. ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს იმას, რომ ახლო აღმოსავლეთის ყველა, ვიმეორებ, ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მშვიდობა, უშიშროება და სახელმწიფოებრივი ურღვევობა. საბჭოთა კავშირი მზად არის მონაწილეობა მიიღოს შესაბამის გარანტიებში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მშვიდობის ყველა მომხრის, თანამედროვე პირობებში მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა მიაღწიონ უშიშროების საბჭოს 22 ოქტომბრის გადაწყვეტილების გადაუდებელ და სრულ განხორციელებას. ეს საჭიროა ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისათვის. ეს შეესაბამება ევროპისა და აზიის, აფრიკისა და ამერიკის ბევრი სახელმწიფოს ინტერესებს, რომლებისთვისაც მსოფლიოს ამ მნიშვნელოვან რაიონში პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ნორმალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს. და, ბოლოს, ახლო აღმოსავლეთში ამ დღეების მანძილზე წარმოქმნილი სიტუაციის სიმწვავე, კონფლიქტის გაფართოების რისკი მთელი სიცხადით მოწმობს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ამოცანის გადაწყვეტას საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისთვისაც.

პატივცემულო კონგრესის მონაწილენო!

კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნების ხალხთა წინაშე გიგანტური ეკონომიური და სოციალური ამოცანები დგას. ეს ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაწყდეს მხოლოდ მშვიდობის გზით, რომელსაც საფუძვლად დაედება საიმედო უშიშროება და ყველა სახელმწიფოს ფართო ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა.

მშვიდობის თანმიმდევრული პოლიტიკისა და საშინაო ამოცანების დემოკრატიული გადაწყვეტის შერწყმის მაგალითს იძლევა ინდოეთის რესპუბლიკა. არსებული საერთაშორისო პრობლემების სამართლიანი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის რომ იღვწის, იგი ამით ხელშემწყობ პირობებს ქმნის თავისი საშინაო ამოცანების გადაჭრისათვის. ამასთან, თანდათანობით წყვეტს რა საშინაო სოციალურ-ეკონომიურ პრობლემებს, ინდოელი ხალხი არსებითად განამტკიცებს თავისი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ბაზას.

დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს მიუმხრობელი სახელმწიფოების ალჟირის კონფერენციის გადაწყვეტილებებს, რომელშიც მონაწილეობდნენ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის ხელმძღვანელები. კონფერენციამ კვლავ დაადასტურა, რომ ამ ქვეყნებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიზანსწრაფულად იბრძოლონ იმპერიალიზმის, ომისა და აგრესიის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ერთი სიტყვით, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა აქტიური პოლიტიკას დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

თანამედროვე საერთაშორისო განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ხალხის მასების, მათი ორგანიზაციების, მათი პოლიტიკური პარტიების ფაქტიური მონაწილეობა ომისა და მშვიდობის პრობლემების გადაწყვეტაში. ეს, რა თქმა უნდა, იმ ისტორიული გამოცდილების შედეგია, რომელიც კაცობრიობამ შეიძინა. ჩვენი პლანეტის ადამიანებს ახსოვთ პირველი და მეორე მსოფლიო ომების მწარე გაკვეთილები, ესმით, თუ რა საშინელი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ატომური იარაღის გამოყენებას. ყოველივე ეს მძლავრად მოუწოდებს მათ აქტიურად იმოქმედონ, რათა არ დაუშვან კაცობრიობის ისტორიაში უმგალითო ტრაგედია.

ჩვენს ატომურ საუკუნეში ჩნდება ახალი, კიდევ უფრო ღრმა, გრძნობა ხალხთა სოლიდარობისა მშვიდობისათვის ბრძოლაში და ამასთან უფრო მწვავე შეგრძნება მათი საერთო პასუხისმგებლობისა მსოფლიოს ბედისათვის. ეს გრძნობა მშვიდობის განმტკიცებისათვის, საიმედო საერთაშორისო უშიშროებისათვის მზარდი ბრძოლის მძლავრი სტიმულია.

შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ახლანდელი ძვრები მსოფლიო ვითარებაში მნიშვნელოვანწილად საზოგადოებრივი ძალების საქმიანობის ნაყოფია, დღემდე არნახული ხალხის მასების აქტივობის შედეგია, რომლებიც იჩენენ მძაფრ შეუწყნარებლობას თვითნებობისა და აგრესიისადმი, მტკიცე მისწრაფებას მშვიდობისადმი.

ამას მოწმობენ აგრეთვე ახლახან ბულგარეთში დამთავრებული პროფკავშირთა მსოფლიო კონგრესის შედეგები. კონგრესმა დამაჯერებლად გამოხატა მუშათა კლასის, მოსამსახურეების, ინტელიგენციის ორასმილიონიანი ორგანიზებული მასის მისწრაფება მშვიდობისადმი.

თვით თქვენი კონგრესის მოწვევაც, მისი მასშტაბიც და წარმომადგენლობაც დამაჯერებლად, თვალნათლივ ადასტურებენ. თუ რა ძალა გახდა მსოფლიო საზოგადოებრიობა, რა როლის შესრულება შეუძლია მას მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში.

II.

ამრიგად, პატივცემულო მეგობრებო, კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანებული ღონისძიებებით უკანასკნელ წლებში მივაღწიეთ იმას, რომ საერთაშორისო ატმოსფერო საერთოდ უფრო ჯანსაღი გახდა, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკა საგრძნობ რეალურ შედეგებს იძლევა.

ამასთან ნათელია, რომ ეს მხოლოდ საწყისი ეტაპია მოძრაობისა მიზნისაკენ, რომელიც, ჩემი აზრით, აერთიანებს ამ დარბაზში ყველა დამსწრეს და იმათ, ვისი წარმომადგენლებიც ისინი არიან, — კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის საიმედო უზრუნველყოფისაკენ. ჩვენ მხოლოდ ვქმნით საჭირო წანამძღვრებს ამ მიზნის მისაღწევად. ჩვენი საერთო ვალია დაუცხრომლად ვიაროთ წინ არჩეული გზით, ვიაროთ შეუჩერებლად, ბეჯითად, ფართო ფრონტით. მტკიცედ დავძლიოთ დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეთა და „ცივი ომის“ თაყვანისმცემელთა წინააღმდეგობა. ამოცანა, როგორც ჩვენ მივგაჩნია საბჭოთა კავშირში, ის არის, რომ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარების გადამწყვეტ მიმართულებებზე მიღწეული დაძაბულობის შენელება გავხადოთ მყარ. მტკიცე, უფრო მეტიც, შეუქცევად მოვლენად.

და ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს უწინარეს ყოვლისა ევროპაში. ამ კონტინენტის ხალხები, სხვა კონტინენტების ხალხებთან შედარებით, განსაკუთრებით გაიტანჯნენ წარსული ომებისაგან. მათ შორის ყველაზე უსაშინელესი — მეორე მსოფლიო ომისაგან. მათს „ევროპულ სახლში“ საწარმოო ძალების თანამედროვე ხასიათის პირობებში უაღრესად ვიწრო და მოუხერხებელი გახდა კარჩაკეტილი ეკონომიური ცხოვრება ყოველ „ბინაში“. თანაც ეს სახლი მეტად ციცხლსაშიში გახდა მსხვრევი მოსპობის ახლანდელ საშუალებათა არსებობის პირობებში. ამის შედეგად მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში არსებითად იქცა ჯატეგორიულ აუცილებლობად. ევროპის სახელმწიფოთა მრავალმხრივი მშვიდობიანი თანამშრომლობის ყოვლმხრივი განვითარება კი ერთადერთ, ნამდვილად გონივრულ გამოსავლად. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში სულ უფრო აქტიურ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ლტოლვა — ფულადად ერთგული სოციალისტური ქვეყნები, კონტინენტის დასავლეთი ნაწილი — ეს ორივე პრაგმატიკური რეალიზმი, სულ უფრო მეტ გავლენას იძენენ წრეები, რომლებიც ამავე მიზნების მისაღწევად გამოდიან.

აი რატომ გვწამს ჩვენ სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო წარმატება და ისტორიული როლი, მიუხედავად ყველა იმ სირთულისა, რომელთა დაძლევა კიდევ მოუხდებათ ამ უნიკალური ფორუმის მონაწილეებს, რომელიც ამჟამად თავისი მუშაობის გარეგნულად შეიძლება არცთუ ეფექტურ, მაგრამ ფრიად დიდმნიშვნელოვან სტადიაშია.

რას მოველით ამ თათბირისაგან, რაზე ვამყარებთ იმედს? თუ ყველაზე ზოგადი ფორმით ვიტყვით, ჩვენ გვსურს, რომ თათბირის ყველა მონაწილემ ერთსულოვნად, გულწრფელად, როგორც ამბობენ, მთელი გულით, „დიპლომატიური“ ორაზროვნისა და მიკიბ-მოკიბვის გარეშე ჩამოაყალიბოს, დაამტკიცოს და კონტინენტის ყველა ხალხმა მიიღოს ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობის გარკვეული პრინციპები. მხედველობაში მაქვს ისეთი პრინციპები, როგორიც არის, მაგალითად, ევროპის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიის ხელშეუხებლობა. მათი საზღვრების ურღვევობა, სახელმწიფოთა ურთიერთობაში ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და ასეთ საფუძველზე სხვადასხვა დარგში ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება.

გვინდა, რომ ეს პრინციპები დამკვიდრდეს ევროპის ცხოვრების ყოველდღიურ პრაქტიკაში. ევროპის ხალხთა ფსიქოლოგიაში. როგორც წმიდათაწმიდა, უცილობელი საწყისები, რომ ისინი აღიარონ მთავრობებმაც და ხალხებმაც, რათა ამ პრინციპებმა ხორცი შეისხას.

გვინდა ვხედავდეთ, თუ როგორ განვითარდება ამ პრინციპების საფუძველზე სახელმწიფოთა თანამშრომლობის — სამეურნეო, სამეცნიერო, კულტურული თანამშრომლობის სისტემა, რომლის ხშირი ქსელი მთელ კონტინენტს მოიცავს.

ვაჭრობა ოდითგანვე აკავშირებდა ხალხებსა და ქვეყნებს. ასეა ჩვენს დროშიც. მაგრამ დღეს აღარ არის ხელსაყრელი და გონივრული, რომ ეკონომიურ თანამშრომლობაში მარტოოდენ ვაჭრობას დავჯერდეთ. ფეხი აუწყო თანამედროვეობას. გახვიდე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნათა და შესაძლებლობათა დონეზე — შეიძლება მხოლოდ შრომის ფართო საერთაშორისო დანაწილებაზე დაყრდნობით. როგორც ჩანს, ეს დღეს აქსიომაა. აქედან გამომდინარეობს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ურთიერთხელსაყრელი ხანგრძლივი, დიდი მასშტაბის ეკონომიური თანამშრომლობის აუცილებლობა. ეს, რა თქმა უნდა, ეხება არა მარტო ევროპას, არამედ ყველა კონტინენტს, ჩვენს დროში საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის მთელ სისტემას. ჩვენ ვხარ ვუჭერთ ასეთ თანამშრომლობას იმიტომაც, რომ მიიღიანია იგი საბჭოთა მშვიდობიანი ურთიერთობის საიმედო მატერიალური დამკვიდრების ხერხად.

ვიმედოვნებთ და გვწამს, რომ სრულიად ევროპის თათბირის მიერ შემუშავებულ პოლიტიკურ ბაზას და ყოველდღიურ მშვიდობიან თანამშრომლობას შეავსებენ და განამტკიცებენ კონტინენტზე სამხედრო დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი. სწორედ ამას, როგორც იცით, მიეძღვნება მოლაპარაკება, რომელიც ხუთი დღის შემდეგ იწყება ვენაში.

ამ მოლაპარაკებას დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპისათვის, და მსოფლიოში შექმნილი მთელი ვითარებისათვის. საბჭოთა კავშირი მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით, კონსტრუქციულად და რეალისტურად უდგება მას. ჩვენი პოზიცია მკაფიო და გასაგებია. ჩვენი აზრით, უნდა შეეთანხმდეთ ევროპის უკვე განსაზღვრულ რაიონში მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოთა როგორც ულტიმატუმის, ისე ერთიანული სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალების შემცირების თაობაზე. ამასთან ზიანი არ უნდა მიეყენოთ არც ერთი მხარის უშიშროებას და არც ერთმანეთისა. არ უნდა მიიღოს ერთმა მეორე მხარის ხარჯზე. როგორც ჩანს, საჭიროა ვალიაროთ აგრეთვე, რომ უნდა შემცირდეს ატომური იარაღით აღჭურვილი ნაწილებიც.

სახელდობრ, როგორ მოვახდინოთ შემცირება. რა მეთოდი გამოვიყენოთ — შევამციროთ თანაბარი პროცენტული ნაწილებით თუ თანაბარი რაოდენობით. — ამაზე ჯერ კიდევ უნდა შეთანხმდნენ მოლაპარაკების მონაწილენი. ჩვენი თვალსაზრისით საჭიროა, რომ მომავალმა შემცირებამ არ დაარღვიოს შექმნილი ძალთა თანაფარდობა ცენტრალურ ევროპაში და საერთოდ ევროპის კონტინენტზე. თუ ეცდებიან ამ პრინციპის დარღვევას, მთელი საკითხი მხოლოდ განხეთქილების ვაშლად და დაუსრულებელი დავის საგნად გადაიქცევა.

რამდენად მალე შეიძლება დავიწყოთ შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების თვით შემცირება, — ამ საკითხზეც უნდა შეეთანხმდეთ ვენაში. საბჭოთა კავშირი მზად იქნება რიალური ნაბიჯები გადადგას ამ თვალსაზრისით უკვე 1975 წელს. უახლოეს ხანში შეიძლებოდა დაგვიდო კონკრეტული შეთანხმება ამის თაობაზე. ასეთი შეთანხმება, ო

შველია, ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა ევროპის პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღების გზაზე. ხელს შეიწყობდა ამ კონტინენტზე ნდობის, კეთილი ნებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ატმოსფეროს დამკვიდრებას.

უკვე არაერთხელ გითქვამს, რომ დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარება არ შეიძლება იყოს დედამიწის რომელიმე ერთი შეზღუდული რაიონის პრივილეგია. მსოფლიო ნამდვილად განუყოფელია. დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის ნორმები უნდა ბატონობდნენ ევროპაშიც, აფრიკაშიც, სამხრეთ და ჩრდილოეთ ამერიკაშიც. ალბათ, ამ საკითხს მთელი რიგი კონკრეტული ისტორიული მიზეზების გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზიისათვის.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი იმისათვის იღვწის, რომ კოლექტიური ღონისძიებებით განამტკიცოს მშვიდობა აზიის კონტინენტზე. ეს წარმოდგენილი გვაქვს როგორც აზიის ყველა სახელმწიფოს ყოველგვარი თვალსაზრისით ურთიერთხელსაყრელი და ურთიერთგამდიდრებელი კავშირურთიერთობისა და მშვიდობიანი თანამშრომ

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(გაგრძელება)

რუნველყოფის იდეა მიმართული იყოს ჩინეთის წინააღმდეგ და ლამის ჩინეთის „ალყის“ თუ „იზოლაციის“ ვერაგულ მიზანსაც კი ისახავდეს. მაგრამ ასეთი მტკიცებანი მოწმობენ ან ავადმყოფურ ეჭვიანობას, ანდა იმას, რომ არა სურთ ანგარიში გაუწიონ ფაქტებს.

ფაქტები კი ასეთია: საბჭოთა კავშირიც და სხვა სახელმწიფოებიც, რომლებიც დადებითად ეკიდებიან აზიაში მშვიდობისა და უშიშროების კოლექტიური უზრუნველყოფის ამოცანას, იმით ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მონაწილეობას მიიღებს აზიის კონტინენტის უკლებლივ ყველა მსურველი სახელმწიფო. არავის არასოდეს არ დაუსვამს საკითხი ჩინეთის მონაწილეობის მიუღებლობის და მით უმეტეს რაღაც „იზოლაციის“ შესახებ (რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ საერთოდ სასაცილოა ფიქრი ასეთი დიდი ქვეყნის „იზოლაციაზე“). რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მიესალმებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობას ლონისძიებებში, რომლებიც მიზნად ისახავენ აზიის უშიშროების განმტკიცებას.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ ტყუილი გამოგვივიდოდა, ისე რომ დაგვეჭირა თავი, თითქოს ჩინეთის ახლანდელი მოქმედება საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობის განმტკიცებისა და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ამოცანას შეესაბამებოდეს. რაღაც მარტო მათთვის ცნობილი მიზეზების გამო ჩინეთის ხელმძღვანელებს არა სურთ ხელი აიღონ ცდებზე — წამლავდნენ საერთაშორისო ატმოსფეროს და ზრდიდნენ საერთაშორისო დაძაბულობას. ისინი კვლავ უყენებენ საბჭოთა კავშირს, აბსურდულ ტერიტორიულ პრეტენზიებს, რომლებსაც ჩვენ, ბუნებრივია, კატეგორიულად უარვყოფთ. ისინი ჯიუტად იმეორებენ ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაცვეთილ მონაჩმახს „საბჭოთა მუქარის“ შესახებ, ქადაგებენ „ჩრდილოეთიდან საფრთხის“ შესახებ, და, უარყოფენ რა ყველა გონივრულ წინადადებას მოწესრიგების შესახებ, თავდაუსმენლობის ხელშეკრულების დადების შესახებ, თავისი ხალხი კვლავ ჰყავთ საომარი სამზადისის ხელოვნურად შექმნილ ციებ-ცხელების ვითარებაში. ყოველივე ამას თან სდევს სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მიმართ ყოვლად უაზრო ცილისმწამებლური ბრალდებათა გავრცელება, ურცხვი ცდები ერეოდნენ ჩვენს, და კაცმა რომ თქვას, არა მარტო ჩვენს, საშინაო საქმეებში.

ამასთან თვალში გვხვდება ჩინეთის ხელმძღვანელთა საგარეო პოლიტიკის უკიდურესი უპრინციპობა. ისინი ამბობენ, ჩვენ სოციალიზმის საქმისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ვიბრძვითო, სინამდვილეში კი ყოველნაირად ცდილობენ დაასუსტონ სოციალიზმის ქვეყნების საერთაშორისო პოზიციები, ხელი შეუწყონ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო ბლოკებისა და კარდახშულ ეკონომიურ დაჯგუფებათა აქტივიზაციას. მათ განიარაღების მომხრეებად მოაქვთ თავი, სინამდვილეში კი ცდილობენ წინააღუდგნენ გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების ყველა რეალურ ცდას, რითაც აბუჩად იგდებენ მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს, განაგრძობენ დედამიწის ატმოსფეროს მოწამვლას ატომური იარაღის გამოცდით. სიტყვით ისინი გვარწმუნებენ, მხარს ვუჭერთო არაბთა სამართლიან ბრძოლას აგრესორის მიერ დაპყრობილი მიწების დაბრუნებისა და ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვისო — ამ დროს კი ყოველნაირად ცდილობენ როგორმე ჩირქი მოსცხონ რეალურ დახმარებას, რომელსაც აგრესიის მსხვეპლთ უწევენ მათი უერთგულესი მეგობრები — საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები. მათ რევოლუციონერებად მოაქვთ თავი და გულიანდად ართმევენ ხელს ჩილელ რეაქციონერთა ფაშისტური ხუნტის წარმომადგენელს, რომელსაც ჩილეს რევოლუციის ათასობით გმირის, მუშათა კლასის შვილების, მშრომელი ხალხის სისხლით აქვს ხელი შეღებილი.

ამგვარი პოზიტიკა, რა თქმა უნდა, სულაც არ უწყობს ხელს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას. მას საშიში არასტაბილურობის ელემენტი შეაქვს საერთაშორისო ცხოვრებაში. მაგრამ ამ პოლიტიკის შეცვლის შესაძლებლობა ხომ მთლიანად და სავსებით არის დამოკიდებული თვით ჩინეთის ხელმძღვანელებზე. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ვიმეორებ კიდევ ერთხელ, ჩვენ მივესალმებოდით ჩინეთის კონსტრუქციულ წვლილს საერთაშორისო ატმოსფეროს გაჯანსაღებასა და სახელმწიფოთა ლოიალური და თანასწორუფლებიანი მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარებაში.

პატივცემულო კონგრესის დელეგატებო! დედამიწის ყველა ხალხისათვის ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისა და საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის საარსებოდ მხიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტაში დიდი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარებას.

უკანასკნელი ორი წელი ამ ურთიერთობის განვითარებაში აღინიშნა იმით, რომ დაიდო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, მათ შორის ისეთები, როგორიც არის „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საფუძვლები“, ხელშეკრულება და შეთანხმება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისა და შეტევითი სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის საკითხებზე და სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების შეთანხმება ატომური ომის თავიდან აცილების შესახებ. ჩვენ კეთილსინდისიერად ვასრულებთ ამ ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს და ვაპირებთ კვლავაც ასე მოვიქცეთ. ბუნებრივია, რომ ამასვე მოველით მეორე მხარისაგანაც.

ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მშვიდობიანი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას სხვადასხვა დარგში კარგი პერსპექტივები აქვს, თუ, რა თქმა უნდა, ამ საკითხს პასუხისმგებლობითა და ლოიალურად მიუდგები, საქმით დაიცავ ურთიერთსარგებლიანობისა და ურთიერთპატივცემის პრინციპებს, და კი არ შეეცდები დაამახინჯო ისინი და ჩაერიო მეორე მხარის საშინაო საქმეებში, უკარნახო საკუთარი პირობები, როგორც ამას ცდილობს — თავისი მთავრობის ოფიციალური პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგოდ — შეერთებული შტატების ზოგიერთი უპასუხისმგებლო პოლიტიკანი.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ 1972 და 1973 წლებში მიღებულმა დოკუმენტებმა კარგი ბაზა შექმნა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს მშვიდობის საქმისათვის.

1974 წელს გათვალისწინებულია, როგორც ვიცით, შეერთებული შტატების პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტი საბჭოთა კავშირში. ჩვენ ვისურვებდით, რომ იგი აღინიშნოს ახალი, დიდი წინგადადგმული ნაბიჯებით ჩვენს სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებისა და საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღების გზაზე.

დიდი როლი შეიძლება შეასრულოს სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი შეზღუდვისა და შესაძლო შემცირების საკითხებზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოლაპარაკების ახალი ფაზის წარმატებით დამთავრებამ. ეს ამოცანა, როგორც მოგეხსენებათ, უბრალო როდია, მაგრამ ჩვენ პირობა დავდეთ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა გადავჭრათ იგი.

ჩვენ ყველას, ძვირფასო მეგობრებო, გვეყვარს მშვიდობა, გვინდა მტკიცე მშვიდობა და ძალღონისა და შეძლებისდაგვარად ვიბრძვით მისი უზრუნველყოფისათვის. ჩვენ გვახარებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობის განვითარება. მაგრამ ჩვენი სურვილია მთელი ძალით ხაზი გავუსვათ, რომ ვერც მშვიდობა, ვერც დაძაბულობის შენელება ვერ დამკვიდრდება მსოფლიო ასპარეზზე თავისთავად, როგორც რაღაც ზეგარდმო კეთილი ნაბოძები. მათი მიღწევა შეიძლება მხოლოდ მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების — სახელმწიფოების, პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა შეუპოვარი, დაუცხრომელი ბრძოლით ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ხელს უშლის დაძაბულობის შენელებას, ემუქრება მშვიდობას, ქმნის ომის საშიროებას.

ჩვენ არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ, რომ დღემდე პლანეტის სხვადასხვა კუთხეში იწყება ომები, იღუპებიან ადამიანები, ინგრევა ქალაქები, ქარხნები, სოფლები. ნადგურდება კულტურული ღირებულებანი. ეს არის ომები, რომლებსაც ჩვეულებისამებრ პოლიტიკოსები ლოკალურს უწოდებენ, ესე იგი ომები. შეზღუდული რომელიღაც გეოგრაფიული რაიონის შედარებით ვიწრო ჩარჩოებით. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისინი თანამედროვე პირობებში, როგორც წესი, წარმოიშობიან იქ და მაშინ, სადაც და როდესაც იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები მიმართავენ ცდებს — ძალით ჩაახშონ ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელი შეუშალონ იმ სახელმწიფოთა თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას, რომლებმაც აირჩიეს საშინაო განვითარების პროგრესული გზა და ანტიიმპერიალისტური კურსი საგარეო პოლიტიკაში.

მილიონობით ადამიანისათვის ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ არ არის მშვიდობა, ისინი იძულებული არიან იარაღით ხელში იბრძოლონ იმპერიალისტი აგრესორებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ, დამპყრობთა თვითნებობის წინააღმდეგ, საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, საკუთარ სახლში ბატონპატრონის ელემენტარული უფლებისათვის, მშვიდობის მომხრეებს არ შეუძლიათ აქედან არ გამოიტანონ თავიანთი დასკვნები.

ჩვენ უფლება არა გვაქვს დავივიწყოთ აგრეთვე, რომ საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი შენელების პირობებში გრძელდება და ძლიერდება კიდევ პროცესი, რომელიც მსოფლიო ომის მატერიალურ მომზადებას წარმოადგენს.

ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკის ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტები ყოველწლიურად 2-3 მილიარდი დოლარით იზრდება, ხოლო ეს ციფრები ნიშნავს ხოცვა-ჟლეტის სულ ახალი ტიპის იარაღს — ახალი, სულ უფრო მეტი დამანგრეველი ძალის ატომურ ბომბებსა და ჭურვებს, ახალ, სულ უფრო მძლავრ რაკეტებს, ტანკებსა და თვითმფრინავებს, სამხედრო ხომალდებსა და წყალქვეშა ნავებს, იარაღის თვისებრივმა სრულყოფამ არნახულ მასშტაბს მიაღწია.

თანაც ცდილობენ ამგვარი მოქმედება იმით გაამართლონ, წარმატებას ვერ ვაღწევთო შეიარაღების შეზღუდვის მოლაპარაკებაზე და „ვაჭრობისათვის კოზირებს“ ამ მოლაპარაკებაზე ვიძენთო. სავსებით ცხადია, რომ გამალებული შეიარაღების დაჩქარების გარდა, ეს „კოზირები“ სინამდვილეში არაფერს მისცემთ, რაც შეეხება მოლაპარაკებას შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, მისი წარმატებისათვის საჭიროა არა ახალი სამხედრო პროგრამები, არამედ გულწრფელი მისწრაფება ავლაგმოთ გამალებული შეიარაღება, რასაც თან უნდა სდევდეს ორივე მხარის თავშეკავება.

დღესაც კი, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან უკვე თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, მხვნელის გუთანი თუ მშენებლის ექსკავატორი ხშირად აწყდება ხოლმე ნაღმებსა და ჭურვებს. ომი შეგვახსენებს ხოლმე თავის თავს, და ადამიანთა ცხოვრებას დდევანდელ, მშვიდობიან დღეებში კვლავ საფრთხით ემუქრება. მაგრამ განა ათასჯერ უფრო საშიში არ არის დღეს კაცობრიობის მთელ ისტორიაში კოლოსალური, ხალხის ჟლეტის საშუალებათა არნახული მარაგი, რომელიც გამზადებულია სასტარტო პოზიციებზე, საპატრულო თვითმფრინავებსა და წყალქვეშა ნავებზე, ყველგან ახლა სავსეა მიწისქვეშა საწყობები მთელი მსოფლიოს სამხედრო ბაზებში? განა შეიძლება გულდაჯერებით ვაშენოთ მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობა, თუ მის საძირკვლებში შემორჩება ეს თანამედროვე „დენთის საწყობები“, რომლებსაც შეუძლიათ მთელი პლანეტა ააფეთქონ?

კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო მზადება აიძულებს სოციალისტურ სახელმწიფოებსაც საჭირო სახსრები გამოჰყონ თავდაცვისათვის, მოაკლონ ეს სახსრები მშვიდობიანი მშენებლობის მიზნებს, რომლებსაც გვსურს მოვახმაროთ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მთელი ჩვენი მატერიალური რესურსები. გამალებული შეიარაღების ორბიტაში ებმებიან ათობით განვითარებადი ქვეყნებიც, რასაც, რა თქმა უნდა. ხელს უწყობს საფრთხე მათი დამოუკიდებლობისადმი, რომელსაც იმპერიალიზმი ქმნის მსოფლიოს ხან ერთ, ხან მეორე რაიონში.

რა თქმა უნდა, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების მიერ წაქეზებული გამალებული შეიარაღების შემდგომი გაფართოება და საერთაშორისო დაძაბულობის დაწყებული შენელება — ეს ორი, საპირისპირო მიმართულების პროცესია. დაუსრულებლივ განვითარება, ასე ვთქვათ, პარალელური კურსებით მათ არ შეუძლიათ. თუ გვსურს, რომ დაძაბულობა შენელდეს და მშვიდობა მტკიცე იყოს, საჭიროა შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება.

სწორედ ამას ითვალისწინებს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მრავალი ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავენ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოწონებული საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა. ასეთსავე მიზნებს ემსახურება წინადადება ამ გზაზე ნაწილობრივი ნაბიჯის შესახებ. მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი სახელმწიფოების სამხედრო ბიუჯეტების 10 პროცენტით შემცირებისა და განვითარებადი ქვეყნების დახმარების გასაწევად ამ გზით დაზოგილი სახსრების ნაწილის გამოყენების შესახებ სსრ კავშირის წინადადება, რომელიც ახლა შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად.

მსურს ყურადღება მივაპყრო კიდევ ერთ გარემოებას. საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ახორციელებენ იმის შეზღუდვის გარკვეულ ღონისძიებებს, რასაც სახელმწიფო დოკუმენტებში სტრატეგიული იარაღი ეწოდება. მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიოში, სადაც ყველაფერი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ცხადია, რომ ბრძოლა ატომური ომის თავიდან აცილებისათვის არ შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ორი სახელმწიფოს ღონისძიებებით ამოწყდეს, განსაკუთრებით, თუ სხვები — და უწინარეს ყოვლისა ატომური სახელმწიფოები — ამ დროის მანძილზე განაგრძობენ თავიანთი შეიარაღების ზრდას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ, გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და შეჩერების პროცესი. ისევე როგორც დაძაბულობის შენელების პროცესი, სულ უფრო ფართოდ უნდა გავრცელდეს. მოიცვას პლანეტის ახალი სახელმწიფოები და რაიონები. ასევე უნდა გაფართოვდეს იმ სახელმწიფოთა წრე, რომლებიც შეუერთდნენ უკვე არსებულ საერთაშორისო შეთანხმებებს, როგორიც არის, მაგალითად, კონვენცია ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ, ხელშეკრულებანი ატომური იარაღის გაუვრცელებლობისა და მისი გამოცდის აკრძალვის შესახებ. მოითხოვონ, რომ ეს ასე იყოს, ენერგიულად იბრძოლონ ამისათვის — აი მშვიდობის ყველა გულწრფელი მომხრის პირდაპირი მოვალეობა.

გამალებულ შეიარაღებას ხშირად ისე უყურებენ, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდეს ან ფატალურად გარდუვალიც კი იყოს. საჭიროა დავძლიოთ ეს სამიში ფსიქოლოგიური ინერცია, და ამ საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულოს მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობამ.

საჭიროა ნათლად ვხედავდეთ, რომ მშვიდობას საფრთხეს უქმნიან სრულიად კონკრეტული სოციალური ჯგუფები, ორგანიზაციები და ადამიანები. მაგალითად, თვით დასავლეთის უდიდესი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის მოღვაწეთა დადასტურებითაც კი, პროფესიონალი მილიტარისტებისა და საომარი იარაღის დამზადებით გამდიდრებული მონოპოლიების ავბედითი კავშირი, რომელსაც ჩვეულებრივ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს უწოდებენ, იქ. ასე ვთქვათ, გადაიქცა „სახელმწიფოდ სახელმწიფოში“, დამოუკიდებელი ძალა შეიძინა. მილიტარიზმი მარტო იმ საზოგადოებას როდი ამახინჯებს, რომელიც მას წარმოშობს. ომის მომზადების მანქანის გამონახობლქვი გაზები სიძულვილით, შიშით, ძალადობით წამლავენ პლანეტის პოლიტიკურ ატმოსფეროს. მისი არსებობის გამართლების მიზნით თხზავენ მითებს „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, ეგრეთწოდებულ დასავლურ დემოკრატიათა დაცვის საჭიროების შესახებ. მაგრამ მილიტარისტული რობოტი საყვარელი შვილივით ელოლიავება ყველაზე რეაქციულ, ტირანულ, ფაშისტურ რეჟიმებს და ნთქავს დემოკრატიულ თავისუფლებებს.

ჩემამდე გამოსული ორატორები სამართლიანად ლაპარაკობდნენ ჩილეს ამბებზე. ვერც მე ავუვლი გვერდს ამ საკითხს. ქვეყნის კონსტიტუციის შემაძრწუნებელი, სრულიად აშკარა შებღალვა, მთელი ერის დემოკრატიული ტრადიციების მოურიდებელი გათელვა, ელემენტარული კანონიერების აბუჩად აგდება, ხვრეტა, წამება და ბარბაროსული ტეროორი, წიგნების კოცონები — აი სამხედრო ხუნტის ნამდვილი ფაშისტური სახე, აი შინაური და გარეშე რეაქციის ნამდვილი სახე, რომელიც მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი დანაშაული, ოღონდ დაიბრუნოს პრივილეგიები ხალხის მიერ მკაფიოდ და თავისუფლად გამოთქმული ნებასურვილის საწინააღმდეგოდ.

ჩილეს ტრაგედია გულისტკივილით აღიქვეს მილიონობით ადამიანმა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობის სულ სხვადასხვა წრეებმა. სალვადორ ალიენდეს სახელი, ამ ქვეყნის სხვა გმირების სახელები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს თავისუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლას, სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხსოვნაში. ნება მიბოძეთ კონგრესის ტრიბუნიდან ჩვენი სრული სოლიდარობა გამოვუცხადო ჩილელ დემოკრატებსა და პატრიოტებს და გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ სამართლიანი საქმე, რომელისთვისაც ისინი იბრძოდნენ და ახლაც იბრძვიან ესოდენ მძიმე პირობებში, დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმე უძლეველია, დაუმარცხებელია! და ამ დიდ ფასეულობათა დაცვა, მათი ხორცშესხმა, ბრძოლა იმათ წინააღმდეგ, ვინც საფრთხეს უქმნის და ცდილობს მათს მოსპობას, მჭიდროდ დაკავშირებულია ამქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლასთან.

როცა საქმე ეხება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის პოლიტიკას, ჩვენ, კომუნისტებს, ხშირად გვეკითხებიან: შეესაბამება თუ არა ეს პოლიტიკა რევოლუციურ შეხედულებებს?

შეგახსენებთ, რომ ლენინი — ეს უდიდესი რევოლუციონერი — ამბობდა: რევოლუციას არ ახდენენ შეკვეთით ან შეთანხმებით. შეგვიძლია დავძინოთ, რომ რევოლუცია, კლასობრივი ბრძოლა, გამათავისუფლებელი მოძრაობანი აგრეთვე არ შეიძლება გაუქმდეს შეკვეთით ან შეთანხმებით. ამ ქვეყნად არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს უკან დააბრუნოს საზოგადოებრივი ცხოვრების განახლების გარდუვალი პროცესი. იქ, სადაც არის კოლონიალიზმი, იქნება ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის. იქ, სადაც არის ექსპლოატაცია, იქნება ბრძოლა შრომის განთავისუფლებისათვის. იქ, სადაც არის აგრესია, მუდამ საკადრის პასუხს გასცემენ მას.

ხალხის მასები ისწრაფვიან შეცვალონ მსოფლიო და კიდეც შეცვლიან მას. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს იგი მუდამ იქნება სოციალური პროგრესის ძალების მხარეზე. ჩვენ „რევოლუციის ექსპორტის“ მოწინააღმდეგენი ვართ. ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ჩვენი მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი აშკარად და არაორაზროვნად უცხადებენ სოლიდარობას საზღვარგარეთის ქვეყნებში მებრძოლ თავიანთ კლასობრივ ძმებს, უცხადებენ სოლიდარობას განმათავისუფლებელ, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობებს, და ეს პოზიცია არამც და არამც არ ეწინააღმდეგება მშვიდობისათვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ბრძოლას.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს რომ ვიცავთ, ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია. მსოფლიოს მილიარდობით ადამიანისათვის: ვიბრძვით თვით სიცოცხლის უფლებისათვის, ომის ცეცხლში მისი მოსპობის საფრთხის თავიდან აცილებისათვის. ამასთანავე ჩვენ ვიბრძვით ყველა ქვეყნისა და ხალხის სოციალური პროგრესის საქმის წინწაწევის ხელშემწყობი საერთაშორისო პირობების უზრუნველსაყოფადაც. საქმე ეხება იმას, რომ ყოველ ხალხს ჰქონდეს უფლება აირჩიოს ის საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მას სურს, საქმე ეხება სახელმწიფოთა ურთიერთობის უბრალო და გასაგებ ნორმებს. ამ ნორმების დარღვევა იწვევს არა მარტო ქვეყნების ურთიერთობაში თანასწორობისათვის ძირის გამოთხრას, არამედ შეიარაღებულ კონფლიქტებსაც, ვინაიდან ჩვენს დროში ხალხები არ ურიგდებიან და არც შეურიგდებიან დიქტატს. და მათ სრული უფლება აქვთ უკუაგდონ აგრესია. მსოფლიოს ორ სისტემად გათიშვის პირობებში საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფს მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების სრული და განუხრელი დაცვა, კერძოდ, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება ყურადღება არ მივაპყროთ იმას, რომ უკანასკნელ ხანს დასავლეთის ზოგიერთ წრეებს ფაქტიურად სურთ გვერდი აუარონ ამ პრინციპებს და გვთავაზობენ „ცივი“ ან, თუ გნებავთ, „ფსიქოლოგიური ომის“ რაღაც ახალ გამოცემას. საქმე ეხება კამპანიას, რომელსაც ეწევიან სოციალისტურ ქვეყნებში „ადამიანის უფლებათა დაცვის“ თვალთმაქცური ლოზუნგით.

ამ კამპანიის ინიციატორთაგან ერთნი ამტკიცებენ, დაძაბულობის შენელება შეუძლებელია, თუ სოციალისტური ქვეყნების საშინაო წესწყობილებაში ცვლილებები არ მოხდაო. მეორენი კი თითქოს შენელების წინააღმდეგი არ არიან, მაგრამ ვისაოცარი გულახდილობით აცხადებენ, რომ განხორციელებული აქვთ დაძაბულობის შენელების პროცესი გამოიყენონ სოციალისტური წყობილების დასასუსტებლად და საბოლოო ანგარიშით იმისათვის, რომ მიაღწიონ მის დანგრევას. ფართო საზოგადოებრიობას კი ამ ტაქტიკას უხატავენ როგორც ზრუნვას ადამიანის უფლებებისათვის ან ჩვენი წყობილების ეგრეთწოდებული „ლიბერალიზაციისათვის“.

მოდით, ძვირფასო მეგობრებო, ყველა საგანს თავისი სახელი ვუწოდოთ. ლაპარაკობენ თავისუფლებისა და დემოკრატიაზე, ადამიანის უფლებებზე, სინამდვილეში კი მთელი ეს მყვირალა ლაპარაკი ერთ ბიზანს: მიჩქმალონ სოციალისტურ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის ლტოლვა, — ნამდვილი მიზანი პოლიტიკის იმპერიალისტური მიზნები. მსჯელობენ „ლიბერალიზაციაზე“, ამასთან კი გულისხმობენ სოციალიზმის რეალურ მონაპოვართა ლიკვიდაციას სოციალისტური ქვეყნების ხალხთა სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისათვის ძირის გამოთხრას.

ჩვენ არა გვაქვს საფუძველი თავი ავარიდოთ სერიოზულ სჯა-ბაასს ადამიანის უფლებათა შესახებ. ჩვენმა რევოლუციამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ არა მარტო გამოაცხადა, არამედ რეალურადაც უზრუნველყო ყოველი ეროვნების შრომელი ადამიანის უფლებანი, მილიონობით შრომელთა მასების უფლებანი ისე, როგორც ვერ ქნა ეს კაპიტალიზმმა მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში.

შესაძლოა, რომ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ადამიანის ისეთი უფლებანი, როგორიც არის შრომის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, უფასო სამედიცინო დახმარების, დასვენებისა და სხვა უფლებანი — ეს რაღაც მეორეხარისხოვანი ან მიუღებელიც კი იყოს. მოვიყვან მარტო ერთ ციფრს: არასოციალისტურ ქვეყნებში ახლა უმუშევარია ას მილიონამდე კაცი. ბევრ კაპიტალისტურ სახელმწიფოში ილახება ეროვნულ უმცირესობათა, უცხოელ მუშათა უფლებები, ქალთა ის უფლება, რომ მამაკაცის თანაბრად აუნაზღაურონ შრომა. ეს ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ დასავლეთის ბევრი სახელმწიფო დღემდე არ გამხდარა იმ საერთაშორისო პაქტების მონაწილე, რომლებიც ეხება ადამიანის სოციალური და პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფას?

გიგანტური სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნები ჩვენს ქვეყანაში — ეს არის ხალხის მასების უფართოესი და შეგნებული პოლიტიკური შემოქმედებისა და ამასთან მათი იმ მისწრაფების შედეგი, რომ დაიცვან თავიანთი ხელით შექმნილი წყობილება ყოველგვარი ხელყოფისაგან. აი რატომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები ვერ შეურიგდებიან ვინმემ ხელყოს ჩვენი სახელმწიფოს, როგორც მათი სოციალურ-პოლიტიკური მონაპოვრების დამცველის, სუვერენიტეტი. ეს სუვერენიტეტი სრულებითაც არ არის დაბრკოლება კონტაქტებისა და გაცვლის გზაზე, არამედ ჩვენი ხალხის მიერ ძნელად მოპოვებული უფლებებისა და თავისუფლებების საიმედო გარანტიაა.

საბჭოთა კანონები ჩვენს მოქალაქეებს ფართო პოლიტიკურ თავისუფლებებს ანიჭებენ, ამავე დროს ისინი იცავენ ჩვენს წყობილებას, საბჭოთა ხალხის ინტერესებს ყველასაგან, ვინც ეცდება ბოროტად გამოიყენოს ეს თავისუფლებანი. და ეს სავსებით შეესაბამება საბჭოთა კავშირის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო პაქტებს ადამიანის უფლებათა შესახებ, რომლებშიც ნათქვამია, რომ მათში მოხსენიებული უფლებანი „არ შეიძლება იყოს არავითარი შეზღუდვის ობიექტი, იმათ გარდა, რომლებსაც კანონი ითვალისწინებს და საჭიროა სახელმწიფოს უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის...“ ჩვენ ამას ხელი მოვაწერეთ.

რომელ თავისუფლებაზე ლაპარაკობენ ისინი, ვინც ჩვენ გვესხმის თავს? ჩვენ, მაგალითად, გვაქვს კანონი, რომელიც კრძალავს ომის პროპაგანდას ყოველგვარი ფორმით. გვაქვს კანონმდებლობა, რომელიც გამორიცხავს რასობრივი თუ ეროვნული შუღლისა და სიძულვილის იდეების ქადაგებას, რომლებიც ამცირებენ რომელიმე ხალხის ეროვნულ ღირსებას, გვაქვს კანონები, რომლებიც მიზნად ისახავენ ამორალური მოვლენების აღკვეთას, მიმართულია საზოგადოების ზნეობრივი გაჯრწნის წინააღმდეგ. იქნებ სურთ, რომ იდეებისა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის გულისათვის უარი ვთქვათ ამ კანონებზეც? ან იქნებ სურთ დაგვარწმუნონ, რომ ეს ხელს შეუწყობდა დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა დაახლოების საქმეს?

„ან შეცვალეთ თქვენი ცხოვრების წესი, ან „ცივი ომიო“, — გვეუბნებიან ჩვენ. მაგრამ, ჩვენც რომ ასევე ვუპასუხოთ? ნორმალური სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განვითარების წანამძღვრად ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ისეთი კანონებისა და წესების შეცვლა რომ მოეითხოვოთ, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს წარმოდგენას სამართლიანობასა და დემოკრატიაზე? ვფიქრობ, რომ ამგვარი მოთხოვნები არ გააუმჯობესებენ სახელმწიფოთა ურთიერთობის ჯანსაღი განვითარების პერსპექტივებს.

არ შეიძლება იბრძოდე მშვიდობისათვის, თუ ხელყოფ სხვა ხალხთა სუვერენულ უფლებებს. არ შეიძლება იბრძოდე ადამიანის უფლებებისათვის, და ამავე დროს ფუშავდე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს.

პირდაპირ ვიტყვით: სოციალიზმის სამყაროსათვის ძირის გამოთხრა ახლა აღარავის აღარ შეუძლია, მაგრამ მშვიდობისათვის ძირის გამოთხრა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეიძლება, რადგან მშვიდობა დამოკიდებულია მრავალმხრივ მეცადინეობაზე და, რა თქმა უნდა, სუვერენიტეტის და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების ერთიერთ — ხაზს ვუსვამ — ერთიერთ პატივისცემაზე. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენი სახელმწიფო ხომალდი, რომელიც კვეთს სოციალიზმისათვის მტრული პროპაგანდისტული კამპანიების წვრილ-წვრილ ტალღებს, კვლავაც გულდაჯერებით იცლის თჯისი კურსით — საერთაშორისო ცხოვრების დღის წესრიგში დასმული პრობლემების კონსტრუქციული გადაწყვეტისაკენ.

III.

ძვირფასო მეგობრებო! კაცობრიობას სჭირდება მტკიცე მშვიდობა. მაგრამ როდის დადგება და როგორი იქნება ეს მშვიდობა, დამოკიდებულ

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დასასრული

მომავალია დაკავშირებული. დიახ, მთელი პლანეტის მომავალი, რომელსაც უკვე არ შეიძლება ახგარში არ გავუწიოთ, როცა ვწყვეტთ დღევანდელობის პრობლემებს, თავისთავად რა რთული და ძველიც უნდა იყოს ეს პრობლემები. თქვენ, მსოფლიოს ყველა კუთხის მრავალეროვანი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ამას ალბათ განსაკუთრებით ცხადად გრძნობთ.

საკმარისია დავასახელოთ აქ ზოგიერთი პრობლემა, რომლებიც უკვე დღეს აწუხებს ბევრს: ენერგორესურსების პრობლემის გადაჭრა, გარემოს დაცვა, ისეთ მოვლენათა ლიკვიდაცია, როგორიც არის მასობრივი შიმშილი და საშიში სხეულებახი; მსოფლიო ოკეანის სიმდიდრეთა ათვისება.

ყოველივე ეს მოითხოვს მთავრობების, ეკონომიური და მეცნიერული წრეების და, რა თქმა უნდა, სულ სხვადასხვა ორგახიზაციების — პოლიტიკური, პროფესიული, კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყოველმხრივ, გულწრფელ, საქმიან თანამშრომლობას. საჭიროა ხალხები კარგად იცხობდნენ ერთმანეთს, და მასასადამე გაცხოველებული, მრავალფეროვანი ურთიერთობა ჰქონდეთ ძათს ძრავალრიცხოვან წარმომადგენლებს.

გასაგებია, რომ ასეთი თანამშრომლობის უპირველესი პირობაა მშვიდობა. მშვიდობიან თანაარსებობაზე დაფუძნებული საეოთაშორისო ურთიერთობის სისტემის გარეშე ძეუძლებელია საფუძვლიანად შევუდგეთ მომავლის ზოგადსაკაცობრიო პრობლემების გადაჭრას, ან წარმატებით შევასრულოთ თანამედროვეობის ბევრი გადაუდებელი ამოცანა.

ყოველი ჩვენგანისათვის სასურველი ასეთი მშვიდობის გზით ძემდგომი მოძრაობის ჯონკრეტული მიმართულებანი ცხადია. მათ შესახებ უკვე მოგახსენეთ. მათ გვიკარნახებს თვით შექმნილი საერთაშორისო ვითარება. და ჩვეი ღრმად ვართ დარწმუხებული, რომ ერთობლივი მეცადინეობით შევძლებთ მივაღწიოთ ამ საარსებო ამოცანების რეალიზაციას, რომლებიც ახლა დადგა მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლის წინა პლანზე.

ეს არის უწინარეს ყოვლისა ხელშეწყობა ჯერ კიდევ არსებული შეიარაღებული კონფლიქტების სამართლიან საფუძველზე მოწესრიგებისათვის.

ეს არის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა ევროპაში, შემდეგ კი აზიაში, რაც საშუალებას მოგვცემს თანდათან დავძლიოთ მსოფლიოს ახლანდელი დაყოფა სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად.

ეს არის გამალებული ატომური და სხვა შეიარაღების შეწყვეტა სახელმწიფოთა მიერ ნებაყოფლობით მიღებული ვალდებულებების პატიოსანი შესრულების საფუძველზე და — რაც განსაკუთრებით აქტუალურია — ამ პროცესში ყველა დიდი ქვეყნის ჩაბმა. ამით დასაბამი მიეცემოდა სამხედრო კონფრონტაციის მატერიალური საფუძვლის თანდათანობით დავიწროებას.

ეს არის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარება სრული თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლიანობის საწყისებზე, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ეგომანეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ცდების გარეშე.

ასე წარმოგვიდგენია თანამედროვე პირობებში მშვიდობისათვის ბრძოლის აქტუალური ამოცანები. რა თქმა უნდა, ზოგიერთი ამ ამოცანის გადაწყვეტას დასჭირდება დრო, ზოგიერთი კი მოითხოვს დაუყოვნებლივ, გადაუდებელ მოქმედებას ახლავე. მაგრამ როგორც ერთი, ისე მეორე რიგის ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა მშვიდობის განმტკიცებით დაინტერესებული სახელმწიფოების, პოლიტიკური და ფართო საზოგადოებრივი ძალების ბეჯითი, ენერგიული, აქტიური მეცადინეობა.

„ცივი ომის“ ხანგრძლივმა წლებმა თავისი კვალი დატოვეს შეგნებაში — და არა მარტო პროფესიონალი პოლიტიკოსების შეგნებაში. ეს არის ცრურწმენები, ეჭვიანობა. ზოგმა ცუდად იცის ან არც კი სურს იცოდეს სხვათა ნამდვილი პოზიციები და შესაძლებლობები გარდაქმნა კი სრულიადაც არ არის იოლი საქმე. მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ, უნდა ვისწავლოთ თანამშრომლობა.

ჩვენი მშვიდობის ფილოსოფია — ეს არის ისტორიული ოპტიმიზმის ფილოსოფია. თანამედროვე სიტუაციის სირთულისა და წინააღმდეგობრიობის მიუხედავად გვწამს ამჟამად ფართოდ გაშლილი მშვიდობიანი შეტევის წარმატება. რას ემყარება ეს ოპტიმიზმი?

უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ არსებობს მშვიდობის ისეთი მუდმივი, მძლავრი და დინამიკური ფაქტორი, რომელიც არის რეალური სოციალიზმი, რომლის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა გამომდინარეობს ამ საზოგადოებრივი წყობილების თვით ბუნებიდან. ჩვენი ოპტიმიზმი ემყარება სოციალისტურ სახელმწიფოთა უმრავლესობის შეხედულებებისა და მოქმედების ერთიანობას.

ჩვენი ოპტიმიზმი ემყარება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი სახელმწიფოსა და ხალხის, მათ შორის მიუმხრობელი ქვეყნების ღრმა დაინტერესებას სამართლიანი და დემოკრატიული მშვიდობით.

ჩვენი ოპტიმიზმი ემყარება მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის უკვე მიღწეულ წარმატებებს, იმას, რომ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელ წრეებში სულ უფრო ესმით მსოფლიოში ძალთა რეალური თანაფარდობა, ესმით, რომ ომები მიუღებელია როგორც საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის საშუალება.

მშვიდობის საქმის უძლეველობის ჩვენი რწმენა ემყარება მშრომელი ადამიანის — მუშის, გლეხის, ინტელიგენტის, მშვიდობისმოყვარეობის დიადი ცხოველმყოფელი ძალის ღრმა რწმენას. ისინი კი შეადგენენ ჩვენი პლანეტის მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას.

და, ბოლოს, ჩვენს ოპტიმიზმს მშვიდობის საქმის მიმართ ვუკავშირებთ მშვიდობისათვის მებრძოლი და აქ, ამ მსოფლიო ფორუმზე ესოდენ ფართოდ წარმოდგენილი ყველა საზოგადოებრივი მოძრაობის საქმიანობას, კომუნისტთა, სოციალისტთა, სოციალ-დემოკრატთა, ქრისტიანთა ერთობლივი მოქმედების შემდგომ განვითარებას.

ყოველივე ეს გვაიმედებს და რწმენას გვმატებს.

მაგრამ მშვიდობის გზაზე მიღწეულს განუხრელი განვითარება სჭირდება. ეს გზა შემდგომშიც არ იქნება იოლი. ბევრი დაბრკოლება უნდა დავძლიოთ, მშვიდობის მტრების არაერთი ყონტრიერიში უნდა მოვიგერიოთ. ბრძოლის სირთულე დაკავშირებულია ახალ პირობებთანაც, საერთაშორისო ურთიერთობის ახალ ეტაპთან, რომელიც უკვე დაიწყო. იგი მოითხოვს, როგორც წინათ, არა მარტო დიდ თანმიმდევრობას, სიმტკიცესა და ენერგიას, არამედ მუშაობის ფორმების სრულყოფასაც, ახალ მეთოდებს, იმ კონკრეტული ინიციატივების დროულ და ზუსტ წამოყენებას, რომლებსაც შეუძლიათ თავიდან აგვაცილონ დაძაბულობის კერების წარმოშობა, არ დაუშვან ჩავარდნები დაძაბულობის შენელების პროცესში. ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ ყოველი მშვიდობისმოყვარული ნაკადის გააქტიურებისათვის და ამავე დროს გავაერთიანოთ ისინი ერთ კალაპოტში. თანამედროვე ისტორიული მომენტის მოთხოვნა, თუ გნებავთ, ეპოქის მოთხოვნა, ეს არის კაცობრიობის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების გაერთიანება, ყველა ქვეყნის, ყველა ხალხის მშვიდობიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ძვირფასო მეგობრებო! მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ბევრს მოელის მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესისაგან. მოელიან პასუხს იმ საჭირბოროტო კითხვებზე, რომლებიც უფართოეს მასებს აწუხებს, მოელიან ორიენტირებას მსოფლიო საზოგადოებრივი მოძრაობისათვის, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს XX საუკუნის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემის გადაჭრას — მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას. ეს დიდი პასუხისმგებლობაა, მაგრამ, ვგონებ, დიდი, შთამაგონებელი სტიმულიც არის.

ნება მიბოძეთ აღგითქვათ, რომ თქვენს საქმიანობაში მშვიდობის განმტკიცებისათვის ყველაზე მხურვალედ და ქმედითად დაგიჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ყველა საბჭოთა ადამიანი.

საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრება, საბჭოთა ადამიანების, ჩვენი პარტიისა და მთავრობის საქმეები და ფიქრები გამსჭვალულია მშვიდობისადმი მისწრაფებით. ისინიც, ვინც ჩვენში წინათ ყოფილა, და ისინიც, ვინც მოსკოვში პირველად ჩამოვიდა, — ყველანი თვალნათლივ ხედავენ, რომ საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომის პათოსით არის გამსჭვალული.

ამჟამად ჩვენი ხალხი ამთავრებს შეცარ ხუთწლედის მესამე წელს. უკვე ახლა, სამი წლის წინასწარი შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ტარიფებ შევასრულებ ეარ, რომ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ ძირითად სოციალურ-ეკონომიურ მაჩვენებლებს შევასრულებთ. ამის დადასტურებაა პირველ რიგში განუხრელი ზრდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა, რომელიც ხუთწლედის სამი წლის მანძილზე 16,4 პროცენტით გაიზარდა.

დიდი წარმატებანია მიღწეული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. თუ 1973 წლის გეგმით სამრეწველო წარმოების მატება დასახული იყო 5,8 პროცენტის ოდენობით, მიმდინარე წლის 9 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მან ფაქტიურად 7,3 პროცენტი შეადგინა.

პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს განუხრელი ზრუნვის, სოფლის მშრომელთა თავდადებული მუშაობის შედეგად წლეულს რეკორდული მოსავალი მოვიყვანეთ. როგორც ჩანს, მივიღებთ 215 მილიონ ტონაზე მეტ მარცვლეულს, ან, ჩვენებური ტრადიციული რუსული საზომით თუ გამოვხატავთ, — 13 მილიარდ ფუთზე მეტს. სახელმწიფოს მიერ მარცვლეულის შესყიდვის წლიური გეგმა უკვე გადაჭარბებით არის შესრულებული. ხამ ბამბას შევისყიდით შვიდ მილიონ-ნახევარ ტონაზე მეტს, შაქრის ჭარხალს — 82 მილიონ ტონაზე მეტს. ესეც დიდი წარმატებაა.

მიმდინარე ხუთწლედის მარტო სამი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში აშენებული იქნება 7 მილიონამდე ახალი ბინა.

ეს წარმატებანი ახარებენ საბჭოთა ადამიანებს, მათ მიესალმებიან ჩვენი მეგობრებიც-მთელ მსოფლიოში, რადგან იციან, რომ ეს წარმატებანი ხელს უწყობენ მშვიდობის დამკვიდრებას დედამიწაზე.

შეგიძლიათ ენდოთ საბჭოთა ხალხს, რომელიც თავისი დიდი რევოლუციის შემდგომ პირველ წლებშიც, სოციალიზმის მშენებლობის წლებშიც, ფაშიზმთან ბრძოლაშიც, ომისშემდგომ ათწლეულებშიც და ახლაც იყო და რჩება კაცობრიობის ინტერესების დაცვისათვის ბრძოლის წინა ხაზზე.

მინდა დასასრულ მადლობა ვუძღვნა კონგრესის ორგანიზატორებსა და ყოველ თქვენგანს, ძვირფასო მეგობრებო, იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცით, გამოვსულიყავი ამ მაღალი ტრიბუნიდან.

ნება მიბოძეთ, პატივცემულო კონგრესის მონაწილენო, დასასრულ გისურვოთ დიდი წარმატებანი თქვენს ნაყოფიერ ერთობლივ მუშაობაში, რომელიც — მწამს — გამოხმაურებას ჰპოვებს ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის მცხოვრებთა გულში.

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს, ხშირად გაისმოდა მქუხარე ტაში).

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესზე

უმიშროების საბჭო: მიღებულია ახალი რეზოლუცია

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ, განაცხადა რა გუშინ თავისი სხდომა ეგვიპტის დელეგაციის თხოვნით, 14 ხმით მიიღო რეზოლუცია, რომელიც რვა მიუმხრობელმა ქვეყანამ შეიტანა.

რეზოლუცია, მიღებული უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც იხილავდა საკითხს ისრაელის მიერ საბჭოს 1973 წლის 22 და 23 ოქტომბრის რეზოლუციების დარღვევის შესახებ, მოითხოვს, რომ მხარეებმა დაიცვან ცეცხლის დაუყოვნებლივი და სრული შეწყვეტა და დაბრუნდნენ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეკავათ 1973 წლის 22 ოქტომბრს. წინადადებას ალევს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს დაუყოვნებლივ გაადიდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა რიცხვი ორივე მხარეზე, რეზოლუცია ითვალისწინებს, რომ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით ახლავე შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალები, რომლებიც ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების, ორივე მხარეს, რეზოლუცია ითვალისწინებს, რომ ეშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით ახლავე შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალები, რომლებიც ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების, ორივე მხარეს, ეს უკანასკნელი შეინიშნა რეზოლუციის პროექტში შეიტანეს ბუენოსელეს სხდომის დაწყების წინ.

მიუმხრობელი ქვეყნების რეზოლუცია უშიშროების საბჭომ მოიწონა. არავის არ მიუცია ხმა წინააღმდეგ და არავის არ შეუკავებია თავი. ჩინეთის წარმომადგენელი აკენჭისყრაში არ მონაწილეობდა.

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალების შექმნის შესახებ უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კ. ვალდჰაიმმა გასცა განკარგულება დაუყოვნებლივ გაგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კვიპროსზე მყოფი ჯარების კონტინენტი ავსტრიის, ფინეთისა და შვეიცარიის ქვეგანაყოფთა შემადგენლობით ცეცხლის შეწყვეტის რაიონში სუეცის არხის ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ სექტორებში.

კ. ვალდჰაიმმა ეს გამოაცხადა უშიშროების საბჭოს გუშინდელ საღამოს სხდომაზე.

ხუნტის გოროტმოქმედებანი

პანანა, 26 ოქტომბერი. (საკადესი). ოთხი კაცი — ჩილეს სოციალისტური პარტიის წევრები — სამხედრო ხუნტის განკარგულებით დაბრიტეს ქალაქ ანტოფაგასტში, რომელიც 1400 კილომეტრზე მდებარეობს სანტიაგოს ჩრდილოეთით. ჩილეს მხედრიონის თვითნებობის მსხვერპლნი გახდნენ სოციალისტური პარტიის ანტოფაგასტის ორგანიზაციის მდივანი მარიო სილვა ირირატე, ამ ქალაქის ერთ-ერთი სამრეწველო საწარმოს დირექტორი ეუნენიო რიტს ტაგლე და სოციალისტური პარტიის ორი სხვა წევრი.

სამხედრო მმართველთა ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია, რომ სიკვდილს განაჩენი ამ პირებს გამოუტანეს „მარქსისტული ელემენტებისაგან ქვეყნის გაწმენდის მიზნით“.

დიპლომატიური ურთიერთობა ისრაელთან

ლაგოსი, 26 ოქტომბერი. (საკადესი). ნიგერიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ისრაელთან. ეს ნათქვამია ოფიციალურ ცნობაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა. წიგერია აფრიკის მეთერამეტე სახელმწიფოა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა ისრაელთან განვლილი 19 თვის მანძილზე.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. დ. ლ. გელაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ;

ამხ. თ. დ. ონოფრიშვილი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულად საქართველოს სს რესპუბლიკაში;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

ამხ. ვ. ხ. ხეხნიაშვილი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური ბიურთიანება „სოფსოფლტექნიკის“ თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით;

ამხ. დ. ა. შალუტაშვილი — საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სპორტი

რამდენიმე სტრიქონით

● **ჩოგბურთი.** გუშინ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ნახევარფინალურ ასპარეზობაში ა. მეტრეველმა მოუგო ი. იანკოვიჩს (ჩეხოსლოვაკია) — 9:7, 6:1, 6:1, ი. ბედანმა (ჩეხოსლოვაკია) — თ. ლეიფუსს — 4:6, 6:1, 6:4, 3:6, 6:4, ე. ბრიიუკოვამ — ა. ივანოვას — 3:6, 6:0, 6:0, ო. მოროზოვამ — ვ. ბაშეიევას — 6:0, 6:2, წუვილთა შორის უნგრელებმა ე. საბომ და ი. ბენეკმა დაამარცხეს გ. ბაშეიევი და თ. კაკულია — 1:6, 6:1, 6:4, ხოლო ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა — ვ. ზინკევიჩი და თ. ლეიფუსი — 3:6, 6:0, 6:2.

● **კალათბურთი.** გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დინამოელთა საერთაშორისო ტურნირზე გაიმართა ერთი შეხვედრა — რუმინეთიდან და მოსკოვიდან ჩამოსულ გუნდს შორის. გაიმარჯვა რუმინელებმა ანგარიშით 81:79 (40:40).

● **ხელბურთი.** გუშინ ხალაბის თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო რემბინიტის პირველი ტურის შეხვედრები. თბილისის „ბურევესტნიკი“ ანგარიშით 19:22 (7:11) დამარცხდა ზაპოროჟიეს ზმეტი-სთან. დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ცსკა — კიევის სკა — 17:26, „ზაპოროჟეტიანეტი“ — ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 24:27, მოსკოვის „საავიაციო ინსტიტუტი — მოსკოვის „კუნცევო“ — 31:29.

● **ჭადრაკი.** თბილისის ტურნირზე გუშინ ვაანანინმა მოუგო ბელიაევსკის, ფერმანმა — ოსნოსს, ხოლო პოდგაიცი-კუნაჯი და ბრონშტეინი-კლოვანი ყაიმაზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 16 ტურის შემდეგ კლოვინდებრივად წინ არის ვაანანინი — 11 ქულა.

ჩემპიონიკ სპასკი

ბორის სპასკიმ მოიპოვა ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. (საკადესი).

უკანასკნელი ტურის წინ

მადრიდი, 25 ოქტომბერი. (საკადესი). ქალთა საერთაშორისო ოაკადრაკო ტურნირზე, რომელიც მეზორკას „ენბოლზე“ მიმდინარეობს, გათამაშდა უკანასკნელი წინა ტური. ექვსივე საბჭოთა მოჭადრაკე ლიდერთა შორისაა. დღეს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, ხოლო 27 ოქტომბერს უკანასკნელი ტურია.

ლევენტინამ და შულმა 12-12 ქულა მოაგროვეს. კონპლიოვას აქვს 11,5 ქულა და ერთი დაუმთავრებელი შეხვედრა — მისთვის უკეთეს პოზიციაში (ზედმეტი პაიკი) არონსტინთან (ამერიკის შეერთებული შტატები). ინგლისელ მოჭადრაკეს ჰარტსტონს აქვს 11,5 ქულა. ალექსანდრიას აქვს 11 ქულა (ერთი გადადებული პარტია — მისთვის უკეთეს პოზიციაში — რუმინელ ბაუშტარკთან და ერთი გაუთამაშებელი პარტია რუმინელ ნიკოლაუსთან).

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

კომუნისტი 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-53, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21 წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 УЕ — 12902 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.